ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება 39

დამატების № 108. ხუთშაბათი, 10 აპრილი 1903 წ. გაზეთის № 2118.

### პირველ გაზაფხულის სურათები

### ბარად

ქორონა*) მღერის: „დაწვიმე!"
აღარ აყენებს ენასა,
შეჰხარის მეტის-მეტად
ცის ნამის ჩამოდენასა;
შაშვი ნატრულობს დილისას
მშვიდობით გათენებასა;
სამგლოვიაროდ მოსილი
ჯაგზე დაიწყებს სტვენასა.
„აყვავდით, აი ჩემსავით!"
შვინდი მისძახის თხილებსა;
დამსწარ ერთის კვირითა,
ტყემალი უჩენს კბილებსა,
უღიმის:—ნაადრეობა
ძლიერ ნუ გაგაკვირვებსა;
შენ აყვავებით დამსწარ,
მე დავმწიფდები მალეო;
ნუ მოგწონს თავი ძალიან,
ამ სამ თვეს დამაცალეო.

*
* *

ყვავილი ამოუყრია
წითელ-ყვითელი მდელოსა,
წამოუშლია ფეხზედა
ცად გადმავალს წეროსა:
„დაცოცხლდით"! დაუძახნია
აბუეტს გასაშტეროსა...
რასა ცოდვილობს ბეჩავი,
ვინ აძლევს გასამრჯელოსა?!
ღრუბლისთვისაც შეუთხოვნია,
რომ ნამით დაასველოსა;
აჰსრულებია წადილი,
კურთხევა იმის გემოსა!
ნახოს და ვისაც კი ძალ-უძს,
დაჯდეს, კალმითა სწეროსა,
რაც სარჩო ჰქონდა ბუნებას,
ან რაც ტან-ფეხზე ემოსა.

*
* *

შეხე, კურდღელი მოუკლავ
მაგ ბერიკიანთ ბეროსა:
ჩაჰსაფრებია ჯეჯილში,
ნათლატის პირში დელოსა,
უნდა აგვიკლოს კვეხნითა,
გასივდეს გაიბეროსა!
კალთაში მოუკრეფია
სვინტრი და სატაცურია,
შინ მოდის გახარებული,
უკან მაჰყვება მურია,
ამაყი, პატრონზე ნაკლებ
არც იმასა აქვ გულია....

იხილეთ, ბეროს ქოხშია
როგორი ყრიამულია!..

*
* *

ხევსაც რომ მოუმატნია,
ამ ჩვენს პატარას წყალსა!
გუშინ-წინ ქოჩორ-დავარცხნილს,
ოთხის წლის ჰგვანდა ქალსა;
ეხლა-კი ქვრივს ჰგავ კაპასსა,
ებუზღუნება ჭალასა.
ყველას შეჰმუსრავს, დაანგრევს,
სადა მიიტანს ძალასა!..

*
* *

სწორედ ყურები აგვწეწეს,
იმდენს ყივიან ჩიტები;
სდუმან და დასძინებიათ,
არას ამბობენ ჩხიკვები:
აუფხორიათ ქოჩორი,
ჩამოუშვიათ ყიყვები,
დაუჩაგრია წვიმასა
ერთს დროს ყოჩაღი ბიჭები!..

*
* *

გაჰსუქებია ბებერს ვაზს
გამოტანილი კვირტები,
ქართველის კაცის სიცოცხლე;
მისი გული და ფირტვები.
ვაზის რძით უმსუბუქდება
ცხოვრების მძიმე ტვირთები:




გაზაფხულდა!—სურათი სტანტონისა.

აურიათ ფრთა-ნისკარტებზე
ციური მარგალიტები...
ნელის ხმით, გაუბედავად,
ვენახში დვრინვენ გვრიტები;

მთვრალი თუნდ კლდეზე გადაგდე,
თუნდ გვერდში სჩხვლიტე ხიშტები,—
სიმტკივნეს როდი-ღა მტკივნობს,
რაკი სილაღე ეწვევა...

*) ჩიტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დვინისგან მკვდარიც ცოცხალ არს
და მძიმე უღელს ეწევა,
არც არას უფალს უშავებს,
ცა რისთვის გადაეწევა?!.

*
* *

ახლა სოფელიც ვიხილოთ,
მოვნახოთ მისი სადები;
აქამდე ტყე-ველი ვსინჯეთ,
სოფლის გარშემო ბაღები,
ახლა ვიგემოთ სოფლისაც
ყოფნა და მაწონ-ნადები.

*
* *

ჭია-კოკოლას ანთებენ,
ზედა ხტებიან ბაღდები.
ეზოში ჯუჯულებითურ
მწვანეს კორტნიან ბატები...
მზის ყუდროს მისჩერებიან
დედა-ბუდრიან კატები,
კრუხვი მოაქძღვის წიწილებს,
ხმას იბოხებენ მამლები.
დიდის ოჯახის პატრონნი
ბევრის შვილების აღმზრდლები,
ბატკნები დედებს უხმობენ;
მათ ბანს აძლევენ ხბორები
ისე სჩანს, ამწვანებულან
შუა სოფელში გოხები,
მიკვირს, რომ არსით გამოჩნდა
მაგ გზირ-ნაცვლების ჯოხები?!
—და მაშვრალთ დასძინებიათ,
დაუთენთიათ სიცხეს;
მოეზმანებათ „ბრძანება,“
ბრძოლას ასტეხენ ფიცხელსა.
ხმა-მაღლა დაიძახებენ:
„ხალხნო, მოვიდა ბრძანება!“
იხილეთ მაშინ სეირი.

*
* *

ვინ დაჰპატიჟა მერცხლებსა,
რომ დაეძებენ ბინასა?!
სახლებში დაფარფატობენ,
ბუდეს ეძებენ წინასა.
ყველა მშრალს ქოხს და ყუდროსა
უხმობენ „თავის შინასა?!“

*
* *

იქავე, სოფლის პირადა,
ბრალად დრიტინებს გუთანი...
სავსეა დედაკაცებით
ჭორიკაანთ უბანი.
ობოლსა, უპატრონოსა
ცრემლები მოსდის მდუღარი.

*
* *

მთა რადას ამბობს ბებერი,
ბარში რომ მიდი-მოდის?
სწყინს და იჩმახავს სახესა,
გალაღებული როდის!
„ტიალ, ზაფხულო, სად ხარ,
აქ ჩემთანამდეც მოდის!
რით გავაჯავრე უფალი,
ნეტავი რითა ვცოდის?!
რად არ მაკმავებს წაწყმედას,
ნეტავ, როდისა ვცხონდის?!“
სხვა მან რა იცის ბარისა—
სიმწვანე სტაცებს თვალებსა;
შურით დასცქერის შორიდან
გადაღანებულს ჭალებსა.
სიმწვანით იცნობს გაზაფხულს,
მითი მოიკრებს ძალებსა,
გამხვალი თოვლი მოქანავს,
ქუხილი მოაქვს ზვავებსა.
გაზაფხულს ნატრობს ძალიან
როგორც ცხონებას მწირია.
ჩირთი რომ იქაც მიაღწევს,
ვისთვის რა გასაკვირია?!



მოლოდინში.—სურათი ვორონისა.

ასტეხენ ბდავილ-ყვირილსა
მინდვრით მოსული ძროხები.
ბოსტნებში სამწვანილოდან
სკაპი-სკუპობენ თოხები..
ბარის ტარს სცემენ-კალთებსა
შავი და თეთრი ჩოხები.

*
* *

მუდამ ჟამს ჭირის მტვირთველნი
დალაღებულან ქოხები;
ილოცოს იმათ სულისთვის,
ტარასტავ, მოძღვარს უთხარი.
მზემ გარეთ გამოიტყუა,
აღარ სჭირდებათ ბუხარი.
დიდი რამ ჟრიამულია,
დიდი ხმა ისმის მქუხარი.
თავზე დასცქერისთ ნაშალი
ძველი კოშკ-ციხე მწუხარი.
ტყუილად დონობს მოხუცი
და ეჩმახესა პირია,
რომ მის ჭადარის წინაშე
ბუნება სალმით ძვირია,
ვიღაცა ღლაპსა ჰმასპინძლობს,
მთა კი ობლადა ჰხირია!..

ვაჟა-ფშაველა.

# პიუიუ*)

კარმენ სილვა

ფრანგულიდან თარგმნილი

იყო ერთი მშვენიერი ქალი, სახელად დედა-მიწა. ღმერთმა უხვად დააჯილდოვა შვილებით: ჰყავდა ქალები და ვაჟები. დღე-ღამე იმასა ჰფიქრობდა, რომ კარგად მოეწყო შვილების ბედნიერება და მომავალი. თვითეულს მისცა თითო ბაღი და ენა. უფროსს შეჰხვდა უფრო მზიანი და ნაყოფიერი ბაღი. ამ ბაღში მაღალ ხეების მშვენიერი ჩრდილი იდგა; მზეც უხვად აფრქვევდა თავისს ნაზ სხივებს. დედა-მიწამ გაჰფანტა თავისი შვილები დასავლეთით და ჩრდილოეთით, სადაც სითბო ნაკლებია, და ნიადაგს მეტი შრომა უნდა. ზოგი ბაღი მთაზე იყო გაშენებული, ზოგი თოვლის სამეფოში, ზოგიც ვრცელ ოკეანეს კუნძულებზედ.

საუბედუროდ, შვილები კმაყოფილნი არ იყვნენ იმ ხვედრისა, რომელიც დედა-მიწამ ენასთან ერთად მიანიჭათ. მალე საქმე შეტაკებამდე მივიდა. ასტყდა ჩხუბი, ბრძოლა; დედის მკერდი ხშირად იღებებოდა საკუთარ შვილების სისხლით.

ცოტა ხნის შემდეგ დედა-მიწამ შეჰქმნა ქვეყნად მშვენიერი ბავშვი. ამ ბავშვის დიდ შავს თვალებს გრძელი წამწამნი ჰჩრდილავდნენ; წარბები კალმით დახატულსა ჰგავდა; მშვენიერ პაწია თავს შავი თმა ამშვენებდა. ამ უმცროს და უძვირფასეს შვილს, ე. ი. ამ პაწაწა ქალს, დედამ საუკეთესო ხვედრი აკუთვნა: მფარველებად ძმები მიუჩინა, ხოლო საცხოვრებლად საუცხოვო წალკოტი მისცა ბაღებს შორის.

წალკოტი გარემოცული იყო მთებით, მორწყული ფართე მდინარეებით, გამთბარი მზის სხივებით, განოყიერებული წვიმით, დაგრილული თოვლით, დამშვენებული მწვანე ველით და მღიმარე ვაზით. რათა მეტი ღირსება მიეცა ასულის მშვენებისთვის, დედამ პაწაწა ქალს ამზითვა მელოდიური ხმა, ისეთი ნარნარი, რომ როდესაც პიუიუ ყვავილის გვირგვინებით ცეკვავდა და მღეროდა, ცა და ხმელეთი, მზე და მინდორი სტკბებოდნენ იმის ცქერით; მცენარენი ჰყვავოდნენ ამ მოღიმარე ქალის ფეხებ ქვეშ.

მაგრამ სხვა შვილებმა მალე შურის თვალით დაუწყეს ცქერა ლამაზ მიუიუს, რომელსაც მიწა, ეს საერთო დედა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. დედამიწას ფიქრადაც არ მოსვლია, რომ სხვა შვილები უკმაყოფილონი იქმნებოდნენ და მფარველობას არ გაუწევდნენ ნაზ და მომხიბლავ პიუიუს. უფრო ძლიერ ძმების სიძულილი და შური თან-და-თან იზრდებოდა. როდესაც იმათი და დაჰრგავდა რასმეს, ისინი გაბრაზებულნი შევარდებოდნენ ბაღში, ჩხუბობდნენ და სპობდნენ ყველაფერს.



ჰემონი თავს იკლავს ანტიგონის გვამთან. — სურათი გებჰარდის.

პიუიუ სცდილობდა როგორმე მოეშორებინა მაჩხუბარნი, მაგრამ მაინც მუდამ ემონებოდა იმათ ძლიერებას. სხვა ძმები თითქოს ეხმარებოდნენ, ნამდვილად-კი სცდილობდნენ განეგრძოთ ომი და წაერთმიათ დისთვის წალკოტის საუკეთესო ნაწილი თან ამბობდნენ, ჩვენ დას შესაფერი ღონე არა აქვს, რომ დაამუშაოს ამოდენა ალაგიო.

ბოლოს ერთმა ძმამ სულ დაიმორჩილა სუსტი პიუიუ და შეჰკოჰა ბორკილებით. მშვენიერი პიუიუ ტყვეობაში ისე საბრალოდ ჰგალობდა, რომ დედას გული უკვდებოდა. პიუიუმ დაჰკარგა მხნეობა სამუშაოს ისე ცუდად აკეთებდა, რომ ძმა ყოველ წამს უარეს სატანჯველს უქადოდა. გულ-გრილად უყურებდა ძმების ბრძოლას თავის ბაღში. არც ერთი კი არ სცდილობდა დის განთავისუფლებას მტარვალის ხელისაგან.

ერთ დღეს პიუიუს ყვავილებში დაეძინა. თავი მიესვენა ბორკილებზე, რომელიც სუსტ ხელებს უხუთავდა; იმისი წამწამნი ცრემლებს დაეტვირთა. ღრმა კვნესა ისმოდა ვარდის ბაგეთაგან, ერეოდა ყვავილთა სურნელებას და ადიოდა თვით ზეცამდე. უეცრად გააღვიძა ძლიერმა ქუხილმა, მოესმა ხმა, რომელიც თითქო უღრმეს უფსკრულიდან მოდიოდა. ეს ხმა

*) კარმენ სილვა რუმინიის დედოფალია. „პიუიუ“ რუმინიაში სიმშვენიერის სიმბოლოა.

დედა-მიწისა იყო: „პიუიუ!—ეუბნებოდა იგი:—რათა ხარ უიმედოთ? გამიგონე, უსიტყვოთ დამორჩილდი ჩემს მოსაზრებას; ღამის წყვდიადში ფრთხილად გაჰქლიბე ბორკილი, ისე რომ ეჭვი არავინ აიღოს შენს განზრახვაზე. როდესაც მორჩე ამ საქმეს, უცადე ჩემს ნიშანს...“

პიუიუმ მთელი ღამე ხეხა მაგრად მოჭედილი ბორკილი. ფთხილად, მარჯვედ და სხვის გაუგებრად შეასრულა ეს მძიმე საქმე. ძმას რომ შეეტყო დის მეცადინობა თავისუფლების მოპოვებისათვის, მაშინვე გააორკეცებდა ბორკილის სიმაგრეს. ბოლოს განთავისუფლდა ქალი; იდგა კლდის პირას სევდიანი და ელოდა დედის ნიშანს. მოუთმენლად სცემდა მიწას პაწია ფეხებს და მარგალიტის კბილებით ჰკბენდა ვარდის ტუჩებს. იგონებდა თავისუფლების სიტკბოებას, ოცნებობდა ეგებ ხელახლა ველირსო თავისუფლებასაო.



— სიყვარული ხელობა არ არის, ჩემო ბატონო: „ხელობის დამწყები საქმეში არ მიიღებიანო“—სწერენ.

— სიყვარულში კი სწორედ „დამწყებთ“ უფრო[illegible]ქებენ.



რკინის გზაზე.—ეს ხელი მაგისი კი არის?

ამ დროს ასტყდა ძმათა შორის სასტიკი ბრძოლა, ერთი იმათგანი შევიდა მტრულად დის ბაღში, რომ დაეპყრო იგი. პიუიუს დამტყვევებელი კი, წარბ-შეჭმუხვნილი, უცდიდა იერიშს. დაიწყო საშინელი ბრძოლა. თან და თან მარცხდებოდა თავს დამცემი. ამ ომის მოწამეს პიუიუს უეცრად მოესმა მიწის გულიდან: „ეხლა კი დროა!..“ ყმაწვილი ქალი შეინძრა და ბორკილი დასცვივდა ხელებიდან. ქალს სიხარული აღმოხდა გულიდან. ბორკილი ჩხარუნით დაეცა იმის ფეხთით. ქალმა საოცარის ძალით სტაცა ხელი უზარ-მაზარ ქვას, დაარტყა თავში თავის ძმას, რომელიც იმის უბედურების უმთავრესი მიზეზი იყო, და გასრისა მტარვალი.

მაშინ იგი გასწორდა წელში; იხილა ფეხთით დამსხვრეული ბორკილი, მტარვალ ძმას დასახიჩრებული სხეული და შვენიერი ბაღი, რომელიც იმას ეკუთნოდა ეხლა საუკუნოდ ნეტარების ღიმილი აღებექდა შვენიერს ასულს სახეზე. დედა მიწა ათრთოლდა მეტის-მეტ სიხარულისაგან, როდესაც განთავისუფლებული დაინახა თავისი ძვირფასი, მშვენიერი ქალი; ზღვამ გამოჰგზავნა უუტკბესი ზეფირი, რომ ეალერსნა და ეთამაშნა იმის ზილფოვან თმასთან; ტყე თითქო უგალობდა გამარჯვების ჰიმნს. ამ დროს სიღრმიდან აღმოხდა ხმა დედა-მიწისა: „მე გფარველობდი შენა! შენ გეგონა, უმიზეზოთ მოგეცი ეს საოცნებო მშვენება და სიდიადე? შენ იცოცხლებ, აყვავდები მძლავრად და ღირსეულად; მთელი მსოფლიო ისარგებლებს შენის ნაყოფის სიუხვით!...“

პიუიუ ადგა და გაჰხედა შორს, შორს სივრცეს; მის შვენიერ თვალებში ბრწყინავდა წინადგრძნობა დიდებულ მომავლისა.

ანნა გ.

(უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებიდან)



ქალი.—როგორ ჰყვარებიხარ შენ ცოლს! გარდაიცვალა, რადგან ჰგრძნობდა, რომ გიყვარდი და გაგანთავისუფლა, რომ შემირთო.

კაცი.—სწორედ მაგისთვის არ მოჰკვდებოდა, რომ ვუყვარებოდი...

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

Доз ценз. Тифлисъ, 9 Апрѣля 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ბა.